საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge

KA010187232429420

№16006

10 / დეკემბერი / 2020 წ.

სახელმწიფო უსაფრთხოების
სამსახურის
უფროსის მოადგილეს,
ბ-ნ შენგელი ფიცხელაურს

ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების
მინისტრის მოადგილეს,
ქ-ნ ეკატერინე მიქაბაძეს

ფინანსთა მინისტრის მოადგილეს,
ბ-ნ მიხეილ დუნდუას

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის
აღმასრულებელი დირექტორის
მოადგილეს,
ბ-ნ პაატა შავიშვილს

განათლების, მეცნიერების, კულტურის
და სპორტის მინისტრის მოადგილეს,
ბ-ნ ლევან ხარატიშვილს

შინაგან საქმეთა მინისტრის
მოადგილეს,
ქ-ნ ნინო ცაციაშვილს

ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური
დაცვის მინისტრის მოადგილეს,
ქ-ნ თამილა ბარკალაიას

საგარეო საქმეთა მინისტრის
მოადგილეს,
ქ-ნ ხათუნა თოთლაძეს

როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის დასაწყისიდან მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის (მსსკ/კომისია) ფარგლებში დისტანციურ და ონლაინ რეჟიმში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის პროექტის მოსამზადებლად. ახალი სტრატეგიის შემუშავება და მიღება ევროკავშირთან ინტეგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია და ამავდროულად, ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში მიგრაციის მართვის სფეროში გატარებული რეფორმების გრძელვადიან მდგრადობას უზრუნველყოფს.

მსსკ-ის მიგრაციის ლაბორატორიის ფარგლებში კომისიის 9-ვე წევრი უწყების ინდივიდუალური და ერთობლივი ხანგრძლივი ანალიტიკური მუშაობის საფუძველზე მომზადებული სტრატეგიის პროექტი და მისი ლოგიკური ჩარჩო საჯარო კონსულტაციების ფარგლებში განსახილველად და მოსაზრებების წარმოსადგენად გაეგზავნა მსსკ-ის პარტნიორ ორგანიზაციებს. პარტნიორების მიერ წარმოდგენილი წინადადებები და მოსაზრებები რამდენიმე რაუნდის დროს დეტალურად იქნა განხილული შესაბამისი პროფილური უწყებების მიერ და მათი გარკვეული ნაწილი დარგობრივი უწყებ(ებ)ის დასტურით სხვადასხვა ფორმით და მოცულობით აისახა სტრატეგიის პროექტში. საქმიანობის ბოლო ეტაპზე, ჩასწორებული სტრატეგის პროექტი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების პაკეტი (ლოგიკური ჩარჩო, საჯარო კონსულტაციების ანგარიში, ინდიკატორების პასპორტები) კიდევ ერთხელ გასაანალიზებლად და საბოლოო დასტურისთვის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შეთანხმდა მიგრაციის ლაბორატორიის ფარგლებში და კომისიის ყველა წევრი უწყებიდან მიღებული თანხმობის საფუძველზე საბოლოო, თანდართული სახით ჩამოყალიბდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მსსკ-ის მომავალ სხდომაზე სტრატეგიის პროექტის მოწონების მიზნით, ოფიციალურად შესათანხმებლად გიგზავნით საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის პროექტს შესაბამის დანართებთან ერთად და გთხოვთ, თქვენი წერილობითი დასტური წარმოგვიდგინოთ **2020 წლის 14 დეკემბრამდე.**

აქვე გაცნობებთ, რომ კომისიის მიერ დოკუმენტის მოწონების შემდეგ, სტრატეგიის პროექტი საბოლოოდ დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს მთავრობას, ხოლო მას შემდეგ, რაც მთავრობა დაამტკიცებს სტრატეგიას, დაიწყება შესაბამისი პროცედურები კომისიის მიერ 2021 წლის სამოქმედო გეგმის მისაღებად, რომელიც უკვე მომზადებულია და საბოლოო შეთანხმებებს გადის მიგრაციის ლაბორატორიის ფარგლებში.

დანართი: 1. საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის პროექტი (55 გვ);

2. სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩოს პროექტი (1 ფაილი MS Excel);

3. საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში (4 გვ);

4. ინდიკატორების პასპორტები (69 ფაილი MS Word).

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი

გოჩა ლორთქიფანიძე